პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 მაისი, ოთხშაბათი, 1987 წ. № 93 (9504) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...იდევ ერთი ...ხალი შეჯიბრება

...ხლახან დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა მინი-...ფეხბურთში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე. მკითხველმა იც-... რომ ამ ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. და აი, კვლავ ახა-... შეჯიბრება — რესპუბლიკის ჩემპიონატი მინიფეხბურთში სოფლებსა ... ქალაქების უბნებს შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომი-...ტის პრიზზე.

— ამ ასპარეზობის მიზანია საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტუ-...ულ-სპორტული მუშაობის გააქტიურება. ფეხბურთი ხომ ყველასათ-...ის ხელმისაწვდომი და პოპულარული თამაშია ჩვენში, — გვეუბნება ...საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტული და ...თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგე, წარსულში ცნობილი ფა-...ლავანი გიორგი მაკასარაშვილი.

**● ვინ უძღვება შეჯიბრებას, კო-...კრეტულად ვის ეკისრება ორგანი-...ზატორის ფუნქცია?**

— კომკავშირი, რესპუბლიკის სპო-...რტსახკომი, საქართველოს პროფსა-...ბჭო და საბინაო-კომუნალური მე-...ურნეობის სამინისტრო, ადგილებზე ... — შესაბამისი რგოლები. თითო-...ეულ ორგანიზატორს თავისი დაკა-...ლება აქვს, რაც დებულებით არის განმტკიცებული. როცა დე-...ბულებას ვადგენდით, გავი-...თვალისწინეთ ადრე ჩატარე-...ბული მასობრივი შეჯიბრებების გა-

(იხ. მე-4 გვ.).



უცბად შეატყობ, კარგი ფალავანი დადგება. უშიშარი ჩანს — ისე დგას ნახერხმოყრილ წრეში, როგორც საკუთარ სამფლობელოში. ალბათ მეტოქეს ელოდება, გამოდი, ნახე რა ბიჭი ვარო... მოგება გაუხარდება, მაგრამ ხმისთანა ბიჭს, ჰინკები რომ უხტის თვალებში, არც წაგება წაუხდენს მაინცდამაინც ხასიათს. ბოლოს და ბოლოს, მოგება და წაგება ხომ ძმები არიან.



**17 მაისი**

## ქართული ჭიდაობის დღე

**17 მაისს** რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის დღე აღინიშნება. ამ ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენი ეროვნული სპორტის პოპულარიზაციას, მის შემდგომ განვითარებას. ქართული ჭიდაობა მუდამ იყო და არის რეზერვის უშრეტი წყარო კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობისთვის, სამბოსთვის, ძიუდოსთვის. ამიტომაც ქართულ ჭიდაობაზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი ვალია.

ზეიმი ყველგან, რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში მაღალ ორგანიზაციულ დონეზე უნდა ჩატარდეს. ამისთვის კი საჭიროა არსებული მოედნების, დარბაზების, სარბიელების საფუძვლიანი შეკეთება, მარტივი ტიპის მოედნების მოწყობა. ეს ყველაზე უკეთ შეუძლიათ გააკეთონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მსხვილი წარმოება-დაწესებულებების მეთოდისტებს, სკოლების მასწავლებლებს, ვეტერან მოჭიდავეებს.

ქართული ჭიდაობის დღე უნდა გასცდეს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ფარგლებს. ამ დღეს ჭეშმარიტ ზეიმად გადავაქცევთ მაშინ, როცა მასში მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, სოფლების მოსახლეობა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ხალხის მდიდარი სპორტული ტრადიცია.

### ქალთა ტრადიციული საერთაშორისო...

**დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ იუგოსლაველი, ბულგარელი, პოლონელი, რუმინელი, შვედი და საბჭოთა მოჭადრაკეები.**

დასაწყისი 19 საათზე.

### მშვიდობის ველორბოლა

...გერა (გდრ). მშვიდობის ველორბოლის მესამე ეტაპი მაგდებურგი — გერა (186 კილომეტრი) ნოემბრიელმა მორტენ სეტერმა მოიგო. დისტანცია მან 4:25.02-ში გაიარა. მეორე ადგილი ოლაფ ლუდვიგმა დაიკავა, მესამე უვე რააბმა (ორივე — გდრ). პირველ ათეულში სამი საბჭოთა ველოსიპედისტი მოხვდა: ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი (IV ადგილი), დიმიტრი კონიშევი (VIII ადგილი) და ასიატ საიტოვი (X ადგილი).

სამი ეტაპის ჯამში ლიდერის მაისური ისევ რააბს აცვია — 10:56.30. მას ორი წამით ჩამორჩება ლუდვიგი. მესამე ადგილზე ამპლერია, რომელიც ლიდერთან 10 წამს აგებს. ასეთივე შედეგი აქვს მეოთხე ადგილზე მყოფ პიოტრ უგრიუმოვს. მეხუთე ადგილზე კონიშევმა გადაინაცვლა (იგი რააბთან 15 წამს აგებს). გუნდურ ჩათვლაში წინ არის საბჭოთა ნაკრები.

**ბოკა რეტონი (აშშ).** წყალში მხტომელთა აქ გამართულ ღია ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ოქროს მედალი 12 წლის მოსკოველმა ელენა მიროშინამ მოიპოვა — 479,28 ქულა. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში აშშ-ს ჩემპიონი 17 წლის მოსკოველი მარინა ბაბკოვა გახდა — 533,73.

ვაჟთა შეჯიბრებაში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს 27 წლის გრეგ ლუგანისს ტოლი არ ჰყავდა. მან მოიგო შეჯიბრება ერთმეტრიან (622,44 ქულა), სამმეტრიან (661,35 ქულა) ტრამპლინებიდან და 10-მეტრიან კოშკიდან ხტომაში (639,93 ქულა), ერევნელ არსენ ჯავადიანს კოშკიდან ხტომაში მეორე შედეგი ჰქონდა — 633,72.

**მოსკოვი.** კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრეკზე 25 წლის რიგელმა დაინის ლიეპინშმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (დახურული ტრეკებისთვის) 100 კილომეტრზე ადგილიდან რბოლაში — 2:14.43,022. ძველი მსოფლიო რეკორდი (2:17.44,002) ლენინგრადელ ალექსანდრე ვასეკინს ეკუთვნოდა.

**ათენი.** წყალბურთელთა მსოფლიო თასის მეორე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — საბერძნეთი 11:4, იტალია — კუბა 10:9, გფრ — იუგოსლავია 12:12, აშშ — ესპანეთი 8:7. ორი ტურის შემდეგ გათამაშებას იტალიელები ლიდერობენ — 4 ქულა. სსრ კავშირისა და გფრ-ის წყალბურთელებს 3-3 ქულა აქვთ.

**წყალტუბო - ქუთაისი**

## ლევან მოსეშვილი ნაკრების უფროსი მწვრთნელი

**ბუდაპეშტის მახლობლად ქალაქ შოლნოკში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — ტიხის მეექვსე თასის გათამაშება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ, საბჭოთა კავშირის ღირსებას ამ შეჯიბრებაში იცავდა ქვეყნის მეორე ნაკრები, რომლის უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლევან მოსეშვილი გახლავთ.**

უნგრეთში სათამაშოდ მიწვეული იყვნენ რიგის ვეფ-იდან კარლის მუიჟნიეკსი (1964 წ. დაბადებული, სიმაღლე — 197 სმ), ლენინგრადის „სპარტაკიდან" — ვლადიმერ გორინი (1961 წ. 187 სმ), ცსკა-დან — სერგეი ბაზარევიჩი (1965 წ. 193 სმ); ვიქტორ პანკრაშკინი (1957 წ. 215 სმ), თბილისის „დინამოდან" ანდრეი ტიუბინი (1960 წ. 204 სმ), კაუნასის „ჟალგირისიდან" — არუნას ვისოცკასი (1965 წ. 198 სმ) და ალგიმანტას ბრაზისი (1962 წ. 192 სმ.) და სხვები.

საბჭოთა ნაკრებმა თანამიმდევრულად დაამარცხა ჯერ რუმინეთის გუნდი — 80:70 (41:37), მერე პოლონეთის II ნაკრები — 94:68 (47:39). მესამე მატჩი უნგრეთის ნაკრებთან ჩვენებს ქალაქ კეჩკემეტში ჰქონდათ და იქაც გაიმარჯვეს — 107:80 (47:43). მეოთხე წრეში საბჭოთა კალათბურთელებმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს აჯობეს — 134:68 (69:54), ფინალში ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხეს და საბოლოოდ I ადგილი დაიკავეს. ჩეხებს წილად ხვდათ მეორე ადგილი, უნგრელებს — მესამე.

დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო ბომბარდირისათვის. სხვებზე უფრო მეტი შანსი ჯილდოს მოსაპოვებლად საბჭოთა ნაკრების წევრს ანდრეი ტიუბინსა და ჩეხოსლოვაკიელ იაროსლავ სკალას (სიმაღლე 214 სმ) ჰქონდათ. პრიზი თბილისის დინამოელმა ტიუბინმა მოიპოვა, რომელმაც ხუთ მატჩში თავის კოლექტივს 155 ქულა შესძინა (ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 31 ქულა).

15 მაისს საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები ესპანეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მიემგზავრება. განსაკუთრებით საინტერესო იქნება საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში. ადგილობრივი გუნდისთვის, მაგალითად, ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. ტურნირში ცალკე გუნდად გამოვა ევროპის კლუბებში მოთამაშე ამერიკელ კალათბურთელთა კოლექტივი. ჩვენი ნაკრები ამჯერად გაძლიერდება რამდენიმე მოთამაშით: კურტინაიტისით („ჟალგირისი"), ენდენითა და გობოროვით (ორივე — ცსკა), სუხარევით (მოსკოვის „დინამო"), დარსაძით (თბილისის „დინამო").

ამის შემდეგ ნაკრები კუბასა და ჩინეთში გაემგზავრება. აქ გუნდი თბილისის „დინამოს" ორი წევრით ალექსეი ოპოშნიანითა და გია სანაძით შეივსება.

## მასობრიობის ნიშნით

9-10 მაისს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები. „ლელოს" კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ცხინვალი

გამარჯვების დღეს ცხინვალში და სამხრეთ ოსეთის რაიონებში ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სტარტი აიღო მძლეოსნურმა ესტაფეტამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და სპორტული საზოგადოებების („განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის" და „კოლმეურნის") წარმომადგენლები, სულ 14 გუნდი. აქვე, პიონერულ პარკში მოეწყო V-VII კლასების მოსწავლეთა კროსი. ამავე დღეს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" დარბაზში საასპარეზოდ შეიკრიბნენ საქართველოს ძალოსნები, ქალაქის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში კი მიმდინარეობდა რესპუბლიკის საქალაქთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. დაბა ჯავაში მოეწყო კროსი და საოლქო ტურნირი ჭიდაობა სამბოში. ზნაურ-ცხინვალ-ჯავის გზის მონაკვეთზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ ავტომრბოლელები. მძლეოსნური კროსები და სხვა შეჯიბრებები ჩატარდა ოლქის სხვა რაიონებსა და სოფლებშიც. გამარჯვების ზეიმისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში 1000-ზე მეტი სპორტსმენი და სპორტის მოყვარული მონაწილეობდა.



ცხინვალელი ფოტოკორესპონდენტის მ. ჯიჯოევის ფოტოზე აღბეჭდილია მძლეოსნური კროსის მონაწილენი დისტანციაზე.

(სხვა მასალები იხ. მე-4 გვერდზე).

ბავშვთა სპორტი — რეზერვი!

# აირჩიე, რაში გსურს გახდე ჩემპიონი

**გორის** ბავშვთა და მოზარდთა ძიუდოისტთა სკოლას ჩემპიონები სამბოშიც ჰყავს. ამ სკოლის სამმა წარმომადგენელმა რესპუბლიკის იუნიორების პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ათი პრიზიორი გახდა.

— ჩვენს სკოლაში თითოეულ მოზარდს შეუძლია სასურველი სახეობა აირჩიოს, — ამბობს სამბისტთა მწვრთნელი ანზორ ბუხრიკიძე, — უმრავლესობას ძიუდო მოსწონს. ალბათ ჩვენს ქალაქს მოსდევს ამის ტრადიცია. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში ხომ გორელი შოთა ჩოჩიშვილი იყო, გავიხსენოთ მსოფლიო ჩემპიონი თემურ ხუბულური და კონტინენტის მრავალგზის ჩემპიონი ანზორ ქიბროწაშვილიც. მიუხედავად ამისა, სამბო არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ჩვენს სკოლაში.

სკოლაში აღსაზრდელთა დაყოფა სამბისტებად და ძიუდოისტებად პირობითად თუ შეიძლება, რადგან სამბისტები შესანიშნავად ფლობენ იაპონური ჭიდაობის ილეთებს, ხოლო ძიუდოისტები მშვენივრად იცავენ თავს უიარაღოდ. ისინი ერთ დარბაზში, ერთი და იმავე დროს ვარჯიშობენ. აქ ადგილი ყველასთვის საკმარისია (დარბაზში ერთდროულად 315 ბავშვი იკრიბება). ერთი სართულით დაბლა თავისუფალი ჭიდაობის, კრივის, ტანმოვარჯიშეთა, სპორტული თამაშების და ცურვის სექციის წევრები ვარჯიშობენ. ყოველდღიურად, გარდა კვირისა, სკოლა გორის რაიონის 1200 სპორტის მოყვარულ მოსწავლეს (6-იდან 17 წლამდე) მასპინძლობს. მათ შორის, ძიუდოისტთა „არმია" ყველაზე მრავალრიცხოვანი და სახელგანთქმულია.

— რვა წელია, რაც ძიუდოს სკოლა არსებობს, — ამბობს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შალვა მელაძე, — მაგრამ მან უკვე 40 სპორტის ოსტატი მოამზადა. მათ შორის საბჭოთა კავშირის ორი ჩემპიონი — ბორის გოგიჩაშვილი და კობა კურტანიძე.

როგორი ცვლა მოდის? მოსკოვში და კიევში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე „ოლიმპიური იმედი" გორელ ძიუდოისტებს ბადალი არა ჰყავდათ. მათ ექვსი პირველი და ათი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მოსკოვში ინფორმატორმა ორჯერ გამოაცხადა ჩოჩიშვილის გვარი. ეს იმიტომ, რომ ტურნირში მონაწილეობდა შოთა ჩოჩიშვილის ორი ვაჟი — ცამეტი წლის რეზო და თორმეტი წლის რამაზი. შოთა ჩოჩიშვილი გორის ძიუდოს სკოლის კონსულტანტია.

გორელი ძიუდოისტები, რომლებიც ქვეყნის ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ, ახლა მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის ემზადებიან. ისინი უმთავრესად 15 წლის მოზარდები არიან, თუმცა უკვე ძიუდოში ვარჯიშის სოლიდური სტაჟი აქვთ — 6-7 წელი. თანაც ყველა პირველთანრიგოსანია.

— ჩვენს სკოლაში ჩარიცხვა ერთი პირობით ხდება, — გვეუბნება სკოლის დირექტორი მურად ჯავახიშვილი, — ბავშვი კარგად უნდა სწავლობდეს და დისციპლინითაც გამოირჩეოდეს. ჩვენს მწვრთნელებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ საშუალო სკოლებთან. ყოველდღიური ვარჯიშები დიდ ენერგიასა და დროს მოითხოვს, ამიტომ მათ მხოლოდ ხუთებზე სწავლას ვერ მოვთხოვთ.

თუმცა გამონაკლისებიც გვყავს — მეცხრეკლასელ მერაბ ტეტუნაშვილს კარგი სპორტული შედეგები აქვს და სკოლაშიც ხუთოსანია, გატაცებულია უცხო ენების შესწავლით. კითხვაზე, როგორ ასწრებს ყოველივე ამას, შავთვალა ჩასკვნილმა ბიჭმა თავდახრილმა გვიპასუხა „ხანდახან ღამის თენება მიხდება".

— შეგვიძლია ვიამაყოთ, — ამბობს სკოლის დირექტორი, რომ არც ერთი ჩვენი მოსწავლე უწესრიგობაში შემჩნეული არ არის. სპორტმა ისინი ქუჩას ჩამოაშორა, გაუღვიძა საკუთარი ღირსების გრძნობა. რა თქმა უნდა, გვინდა დაუმარცხებელი ჩემპიონები გავზარდოთ, მაგრამ პირველ რიგში, ჩვენი ვალი მაინც ჰარმონიული პიროვნების, ადამიანის აღზრდაა.

**ი. გორელოვი,**
**ვ. ბარანოვი.**
**(საქინფორმ კორ.).**

**მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიურ...**

## ლახტის წრეში

ცხადია, ამ სურათებს კომენტარები არ სჭირდება. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბრიგადის წევრებს ასე დახვდათ ეს სპორტული მოედნები, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კახრაძემ ფირზე აღბეჭდა.



დიდი ჩაილური. (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ...რამ სალინაშვილი).



იორმუღანლო. (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბაქი ალიოღლი).



შიბლიანი. (მეურნეობის დირექტორი თემურ მეუ...შვილი).



ყანდაური. (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მერაბ ჯავახიშვილი).



ნინოწმინდა. (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვა... ფეიქრიშვილი).



## სვანთა ოჯახების მონაწილეობით

ამ დღეებში დმანისის რაიონში ჩატარდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც აქ ჩამოსახლებული სვანთა ოჯახებიც მონაწილეობდნენ. პროგრამაში იყო სიმძიმეების აწევა, რბენა 100 მეტრზე და ესტაფეტა 4X100 მეტრზე, ბაგირის გადაძალვა, ღერძზე მიზიდვა.

**კოლა ბარაქლოვი,**
**დმანისის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# ჩემპიონია „უმცროსი" „შევარდენი"

**თბილისის** სტუდქალაქის სტადიონზე ჩატარდა 1969-1970 წლებში დაბადებულ ჭაბუკ რეგბისტთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. სამი მათგანი („შევარდენი", სახალხო განათლების სამმართველოს გუნდი და „ლოკომოტივი") თბილისის წარმომადგენელი იყო, დანარჩენი ხუთი კი საქართველოს იმ ქალაქებისა, სადაც რეგბიმ მეტ-ნაკლებად მოიკიდა ფეხი. არადა, დროა ქუთაისის, ჭიათურის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და თელავის გარდა სხვაგანაც შეიქმნას მოზარდთა და ჭაბუკთა გუნდები, რაც მერე და მერე ამ რაიონებში მოზრდილთა გუნდების ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს და ერთიორად გაზრდის რეგბის პოპულარობას საქართველოში. რა დასამალია და, როცა ჩვენში რეგბიზე ჩამოვარდება სიტყვა, ჯერჯერობით მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის ოსტატთა გუნდები გვახსენდება.

დავუბრუნდეთ რესპუბლიკურ პირველობას. ქვეჯგუფებში გამართული შეჯიბრებების მერე ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „შევარდენისა" და განათლების სამმართველოს გუნდები. ტურნირის ორგანიზატორები ამ მატჩის გამართვას 25 აპრილს „ლოკომოტივის" სტადიონზე აპირებდნენ, რაც მისასალმებელია — ამ დღეს ხომ იქ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაც უნდა გამართულიყო და სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები უეჭველად რეგბის თავისებური ფესტივალის მოწმენი გახდებოდნენ. მაგრამ გადაულებელმა წვიმამ ჩაშალა ორგანიზატორთა გეგმები. შეხვედრა შემდეგ კვირაში ჩატარდა. „შევარდენმა" დამაჯერებლად — 21:6 (9:3) სძლია თავის ძველ მეტოქეს და საქართველოს უძლიერეს ჭაბუკთა გუნდის სახელი მოიპოვა. გამარჯვებულებმა — ჯანელიძემ, მგელაძემ, რამიშვილმა და დევდარიანმა ოთხი ლელო გაიტანეს, ძნელაძემ საჯარიმო და რეალიზაციაც შეაგდო, რასაც განათლების განყოფილების გუნდმა მხოლოდ ძაგანელის საჯარიმოთი და ჩიქვინიძის არეკნით გატანილი გოლით უპასუხა. აღსანიშნავია, რომ ჯანელიძე, მგელაძე, ძაგანელი და ჩიქვინიძე უკვე უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში ასპარეზობენ.

ზემოხსენებულ მოთამაშეთა გარდა შეჯიბრებაში ჩემპიონის ღირსებას იცავდნენ პატარაია, ფერაძე, გუჩაევი, კიკნაძე, თეზელაშვილი, გრძელიშვილი, ზოიძე, ცხადაძე, მამულაშვილი, არუდაშვილი, ამირანაშვილი, ნაცვლიშვილი, ქავთარაძე, კერესელიძე, ჩიქოვანი, ღვინიაშვილი, ავალიშვილი, კვარაცხელია, ნიკურაძე. გუნდს რამაზ სანებლიძე — უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „შევარდენის" უფროსი მწვრთნელი ხელმძღვანელობს.

**ზაზა ფხაკაძე.**

# პასუხი რედაქციას!

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ამ სათაურით „ლელოს" 18 აპრილის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქუთაისის განათლების განყოფილების სანიჩბოსნო სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

წერილში აღნიშნული იყო ისიც, რომ „სავალალო მდგომარეობაშია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სანიჩბოსნო ბაზა (ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა ნიჩბოსნობაში მოიჯარის უფლებით სწორედ ამ საზოგადოების ბაზაზეა დაბანაკებული). იქ არ არის დარბაზი საერთო ფიზიკური მომზადებისთვის, ყოვლად უვარგისია გასახდელები, საშხაპეები და სანიტარული კვანძები. არ არის მოწყობილი ელინგი, ნაპირზე არ არის დამაგრებული ტივტივა".

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ კალაძემ გვაცნობა („კოლმეურნე" და სხვა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები 1987 წლის 6 მაისიდან ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ. რედ.):

„24 აპრილს „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა წერილში მოყვანილ ფაქტებზე და დაადგინა, რომ ...ტიკული შენიშვნები სამართ...

მიმდინარე წელს ქუთაისის ...ნიჩბოსნო ბაზაზე სარემონტ... მუშაოების ჩასატარებლად ... მოიყო 26000 მანეთი, ელ... და ტივტივას მოსაწყობა... 42 000 მანეთი. შედგა საპრ...ტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმ...ბი, გაფორმდა ხელშეკრ... სამშენებლო ორგანიზაცი... არსებული ლიმიტის ფარგლ... გამოიყოფა საჭირო სამშენ... მასალა.

ქუთაისის სახალხო დეპუტ... საბჭოს აღმასკომის თანხ... დაიწყო ბაზის ტერიტორიის ... მოლობვა.

პრეზიდიუმმა მიიღო დად...ლება ქუთაისის სანიჩბოსნო ...ზის მუშაობის შემდგომი ...ჯობესების შესახებ.

სანიჩბოსნო ბაზის მუშ... უკონტროლობისათვის „კოლმე...ურნის" ქუთაისის საქალაქო ...ჭოს თავმჯდომარეს დ. ...ლიძეს მიეთითა, ბაზის დ...ტორს კ. ლიპარტელიანს გა...ხადა საყვედური. მათვე ...ლათ სასწრაფო ღონისძიებ... ილონ ბაზის რემონტისა დ... თილმოწყობის დასაჩქარებლ...

„ძოვენ, ვი...

მადა აქვ...

ელვა-ინფორმაცია

# „მაიამ პერუელთა გულები დაიპყრო"

ლიმა. აქ გამართულ საქართველოს სსრ-სა და პერუს მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში სტუმრებმა ასპარეზობის პროგრამის ყველა სახეობაში გაიმარჯვეს. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა მაია აზარაშვილმა პირველობა არავის დაუთმო 100 და 200 მეტრზე რბენაში და შესაბამისად 11,2 და 23,0 წამი აჩვენა. 100 მეტრზე მეორე იყო პერუელი სანდი კერნიტსკი — 12,8. „მაიამ პერუელთა გულები დაიპყრო", აღნიშნავს გაზეთი „კრონიკა".

ქალთა სპრინტი ზურაბ მემარნიშვილმა მოიგო — 10,3. 200 მეტრზე კი ბესიკ გოცირიძემ იმარჯ... 20,6. 110 მეტრზე თარჯრბენ... რველი იყო ვიაჩესლავ ვახ... — 13,9, ბირთვის კვრაში ...ელ ბიწაძე — 19,59, ...ხტომაში — ვახტანგ მინაშვ... 7,39.

საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში

# ცხინვალის ფიცარნაგზე

**ცხინვალელმა** სპორტსმენმა კახი კახიაშვილმა (82,5 კილოგრამამდე) გაიმარჯვა საქართველოს ძალოსანთა ჩემპიონატში. მან ორჭიდში რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა — 350 კილოგრამი. ხოლო მისი შედეგები ატაცში (157,5 კილოგრამი) და აკვრაში (192,5 კილოგრამი) დაფიქსირდა როგორც საქართველოს ახალი რეკორდები იუნიორთა შორის.

ცხინვალში გამართული ჩემპიონატის დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს თბილისელებმა სოსო ჩაფიძემ, ზვიჩა ქობალიამ, კახა მისირელმა, ქუთაისელმა მალხაზ ლომთაძემ, რუსთაველმა ხანარ ნაბიევმა, აგრეთვე ასპარეზობის მასპინძლებმა ზურაბ კასრაძემ და ვადიმ კაზიევმა.

ორ წონით კატეგორიაში — 52 კილოგრამამდე და 110 კილოგრამს ზევით — შეჯიბრება არ გამართულა იმის გამო, რომ მონაწილეები არ გამოუყვანიათ.

რვა გუნდს შორის გაიმარჯვეს თბილისელებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. მესამეზე — საჩხერელი ძალოსნები.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

## IX ტურის სტატისტიკა

**10 და 11** მაისს შედგა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები. გთავაზობთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი" — „დინამო" (კიევი) 0:0.** წლევანდელი გათამაშების ლიდერის და შარშანდელი ჩემპიონის მატჩს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 95 ათასი მაყურებელი დაესწრო. წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია.

გააფრთხილეს სპარტაკელი სუსლოპაროვი და დინამოელები გორილი და მიხაილიჩენკო.

დუბლიორები — 1:2.

**„ჟალგირისი" — „დინამო" (მინსკი) 2:1 (0:1).** მასპინძლები პირველი ტაიმის შემდეგ აგებდნენ (ბურთი გაიტანა კონდრატიევმა), შესვენების შემდეგ კი ნარბეკოვასმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი წინ გაიყვანა „ჟალგირისი".

გააფრთხილეს მინსკელი შალიმო.

დუბლიორები — 1:0.

**„ქაირათი" — „ზენიტი" 1:0 (0:0).** ზენიტელთა კარში ბურთი ფეხლევანიდიმ გაიტანა 89-ე წუთზე.

დუბლიორები — 3:1.

**„შახტიორი" — „დნეპრი" 1:1 (1:1).** გოლები: შახოვი („დნეპრი"), რუდენკო („შახტიორი").

დუბლიორები — 1:0.

**„მეტალისტი" — „ტორპედო" 0:0.**

დუბლიორები — 2:0.

**„დინამო" (მოსკოვი) — ცსკა 1:0 (0:0).** არმიელთა კარში გოლი 73-ე წუთზე გაიტანა ბოროდიუკმა.

დუბლიორები — 1:0.

● **განვლილ** ტურში სტუმართა გუნდებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. 8 მატჩში კვლავ ცოტა ბურთი გავიდა — 15, აქედან 11 გაიტანეს მასპინძლებმა, 4 — სტუმრებმა.

● **ბომბარდირთა** შორის წინ არიან „ჟალგირისის" თავდამსხმელი ა. ნარბეკოვასი და ვ. ტატარჩუკი (ცსკა), რომლებმაც 5-5 ბურთი გაიტანეს.

● **მოსკოვის** „სპარტაკი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატში დამარცხება არ განუცდია. ზედიზედ 7 ტურია მატჩი არ წაუგიათ მოსკოვის ტორპედოელებს, 5 ტური ზედიზედ არ გაუმარჯვიათ ლენინგრადის „ზენიტს", ხოლო 4 ტური — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს", კიევის „დინამოს" და ლანჩხუთის „გურიას".

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 9 | 6 | 0 | 3 | 22-11 | 12 |
| „ჟალგირისი" | 8 | 4 | 4 | 0 | 9-4 | 12 |
| „ქაირათი" | 9 | 5 | 1 | 3 | 17-15 | 11 |
| „დნეპრი" | 9 | 4 | 2 | 3 | 13-10 | 10 |
| „შახტიორი" | 8 | 3 | 4 | 1 | 8-4 | 10 |
| „დინამო" მნ. | 9 | 4 | 1 | 4 | 17-11 | 9 |
| „ზენიტი" | 9 | 3 | 3 | 3 | 15-15 | 9 |
| „ნეფთჩი" | 9 | 3 | 3 | 3 | 7-16 | 9 |
| ცსკა | 9 | 4 | 0 | 5 | 12-15 | 8 |
| „მეტალისტი" | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 8 |
| „გურია" | 8 | 3 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| „დინამო" კ. | 6 | 3 | 1 | 2 | 14-9 | 7 |
| „დინამო" თბ. | 8 | 2 | 3 | 3 | 12-14 | 7 |
| „ტორპედო" | 9 | 1 | 5 | 3 | 3-5 | 7 |
| „დინამო" მ. | 8 | 2 | 2 | 4 | 6-9 | 6 |
| „არარატი" | 9 | 1 | 1 | 7 | 9-21 | 3 |

## 9 ივლისს, ჟენევაში...

**ფეხბურთში** ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის 1987-88 წლების გათამაშებებში (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი და უეფა-ს თასი) მონაწილე გუნდების წილისყრა გაიმართება 9 ივლისს ჟენევაში, ხოლო პირველი წრის მატჩები შედგება 16 და 30 სექტემბერს.

როგორც ცნობილია, უეფა-ს თასზე წლეულს მონაწილეობას მიიღებს თბილისის „დინამოც", რომელმაც სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონატში V ადგილი დაიკავა.

**გუშინ** გაიმართა 1 ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების X ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დონის როსტოვის არმიელთა გუნდი და გაიმარჯვეს — 6:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ვოროშილოვგრადის „ზარია". ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

## კლუბის ჰორიზონტი გაფართოვდა

**ჩვენს** ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრებები „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზზე.

კლუბის არსებობის 22 წლის მანძილზე შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 3 ასაკობრივ კატეგორიად, თამაშებში მონაწილეობდნენ 7-დან 15 წლამდე ასაკის ფეხბურთელები.

წლეულს კლუბის ჰორიზონტი გაფართოვდა, კერძოდ, ამიერიდან შეჯიბრების მონაწილეებს დაემატებიან 16-17 წლის ჭაბუკებიც. გარდა ამისა, დაიშვებიან პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გუნდებიც, თუ ისინი სხვა შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ. კლუბის ორგანიზატორებმა დაადგინეს, რომ უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის გუნდების შეჯიბრებები (10-11 წლის ბიჭები) შემოიფარგლოს მხოლოდ სარაიონო და საქალაქო მასშტაბებით.

ტურნირის ექო

# ბავშვობაში გასროლილი თოფი

**მესტენდურე** არჩილ საბედაშვილს ჩვენი მწვრთნელები კარგა ხანია პერსპექტიულ სპორტსმენად თვლიან. მათ აზრს საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობაც იზიარებდა. ქართველი მსროლელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატად ითვლებოდა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. გასულ სპორტულ სეზონში საბედაშვილმა საგრძნობლად გააუარესა მაჩვენებლები და ქვეყნის მთავარი გუნდის დატოვებაც მოუხდა. მაგრამ თბილისელმა სპორტსმენმა სულ მალე დაუმტკიცა ყველას, რომ მწვრთნელების გადაწყვეტილება მაინც ნაჩქარევი იყო. ამ რამდენიმე დღის წინ საბედაშვილმა საკავშირო თასის გათამაშებაში ბევრი უძლიერესი მეტოქე ჩამოიტოვა და ადგილიდან სროლაში მეორე ადგილი დაიკავა.

ახალგაზრდა მსროლელი რედაქციაში მოვიწვიეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.



● **თუ არ ვცდები, პირველად მოხვდით მოზრდილთა საკავშირო შეჯიბრების პრიზიორთა შორის.**

— თუ ოფიციალურ შეჯიბრებებს მივიღებთ მხედველობაში, ეს ჩემი მართლაც ყველაზე დიდი წარმატებაა. ადრე უფრო იუნიორთა შეჯიბრებებში გამოვდიოდი. მართალია, მოგებული მაქვს მოზრდილთა ორი საერთაშორისო ტურნირი — შეჯიბრებები ფინეთისა და კიპროსის დიდ პრიზებზე, მაგრამ ეს ტურნირები, მონაწილეთა შემადგენლობის სიძლიერის მიხედვით, საკავშირო თასის გათამაშებას ვერ გაუტოლდება. ოდესაში ბევრი სახელმოხვეჭილი მსროლელი გამოდიოდა.

● **შარშანდელი სპორტული სეზონის შემდეგ, რომელიც, მწვრთნელების თქმით, თქვენთვის უიღბლო გამოდგა, ეს მეორე ადგილი ცოტა საკვირველიც კი ჩანს. ელოდით ამ წარმატებას?**

— ყველა მსროლელი და ალბათ ყველა სპორტსმენი ჯერ კიდევ შეჯიბრების წინ, ვარჯიშებზეატყობს, როგორ სპორტულ ფორმაშია, მეც სეზონის დასაწყისშივე ვგრძნობდი, რომ შარშანდელი შებორკილობა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, თანდათან ქრებოდა. ნაყოფიერმა ვარჯიშმაც მიშველა, მაგრამ მთავარი იყო, რომ რწმენა დამიბრუნდა. დიდად ვუმადლი ჩემს პირად მწვრთნელს ზურაბ მაჩხანელს, აგრეთვე საკავშირო ნაკრების მწვრთნელს სანიჩევს, რომლებიც ჩემთვის მძიმე პერიოდში მხარში ამომიდგნენ, ჩემი სჯეროდათ. თუმცა, თასის გათამაშებაში თუ მეორე ადგილს დავიკავებდი, მეც არ მეგონა. ოდესაში, როგორც გითხარით, ძალიან ძლიერი მეტოქეები მყავდა.

● **როგორი პრინციპით ჩატარდა შეჯიბრება?**

— შეჯიბრება საუწყებო გახლდათ. ოდესაში ჩემს გარდა ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე სპორტსმენი გამოდიოდა. სპორტსაზოგადოება „დინამოს" მრგვალ სტენდზე მსროლელთა პირველ გუნდში იყვნენ თამაზ იმნაიშვილი და გია შენგელია ესტონელ პეტერ პიაკთან ერთად. მეც დინამოელი ვარ და ჩემი სპორტსაზოგადოების მეორე გუნდის სახელს ვიცავდი. პირველში კი ცნობილი სპორტსმენები — ასანოვი, იამბულატოვი და საალისტე ჩარიცხეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი იუნიორებიც — ლაშა ასეიშვილი და ლევან ლეკიშვილი. შოთა თავაძე კი პროფკავშირების ნაკრების მეორე გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა.

● **გუნდური შეჯიბრებისა მხოლოდ ის ვიცით, რომ შოთა თავაძემ მეორე ადგილი დაიკავა...**

— ოდესაში შეჯიბრება არმიელთა სასროლეთზე ჩატარდა და თავის ბაზას მიჩვეულმა არმიის ნაკრებმა ყველას გვაჯობა როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში. ისიც უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების მეორე დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა, ასეთ პირობებში კი გამოცდილი სპორტსმენებიც და, რასაკვირველია, გუნდიც ხშირად აუარესებენ შედეგებს. პროფკავშირულმა სპორტსმენებმა, მათ შორის შოთა თავაძემ, მეტი სტაბილურობა გამოიჩინეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ჩემი გუნდი მერვე ადგილზე გავიდა, თამაზ იმნაიშვილისა — მეხუთეზე.

● **პირად პირველობაზე რას იტყვით?**

— ჯერ მრგვალ სტენდზე გამართული შეჯიბრებების შესახებ ვილაპარაკებ. თამაზ იმნაიშვილი ერთხანს ჩამორჩა, მაგრამ იგი განსაკუთრებით კარგად შეჯიბრების დასკვნით ნაწილში ასპარეზობს ხოლმე. ახლაც ბოლო ორ სერიაში ორმოცდაათივე თეფში გატეხა და 196 ქულით ფინალში გავიდა. თამაზმა უშეცდომოდ ჩაატარა ფინალური სერიაც, მაგრამ მისი მეტოქეებიც ზუსტად ისროდნენ. საპრიზო ადგილისათვის დაინიშნა დამატებითი სერიები და თამაზი საბოლოოდ მეორე ადგილზე დარჩა.

ძირითადი სერიების შემდეგ მე მხოლოდ ლენინგრადელი სმირნოვი და ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მსროლელი ალექსანდრე ასანოვი მისწრებდნენ. სმირნოვს 193 ქულა ჰქონდა, ასანოვს — 191, მე კი — ერთით ნაკლები.

ფინალში ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ყველამ გავაუარესეთ შედეგები. აქ პირველობდა კიეველი ალექსანდრე მანაკოვი. მან 25 ცდიდან 19 თეფში გატეხა, მე — თვრამეტი, ასანოვს კი ცხრა თეფში გაუფრინდა დაუზიანებლად. საბოლოოდ მე და მანაკოვს 208-208 ქულა დაგვიგროვდა, მაგრამ თასი მას გადაეცა, რადგან უკანასკნელ სერიაში უკეთესი შედეგი აჩვენა.

კარგად იასპარეზა ლაშა ასეიშვილმაც. ძირითად სერიებში მან 189 ქულა მოაგროვა და ბევრი გამოცდილი მსროლელი ჩამოიტოვა.

● **თოთხმეტ მაისს მოსკოვში მსოფლიო თასის გათამაშება იწყება. მიიღებენ თუ არა მხედველობაში ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ქვეყნის მთავარი გუნდის დაკომპლექტებისას საკავშირო თასის გათამაშების შედეგებს?**

— როგორ გითხრათ. თამაზ იმნაიშვილი, ვფიქრობ, აუცილებლად მოხვდება გუნდში. მე, გია შენგელია, შოთა თავაძე ალბათ პირად შეჯიბრებაში ჩავებმებით. ასპარეზობა უმაღლესი რანგისაა და იქ წარმატებისთვის ძალიან მაღალი შედეგები იქნება საჭირო. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში გამარჯვებული ოლიმპიურ ლიმიტს იღებს — მას ერთი ადგილი დაჯავშნილი ექნება ოლიმპიური თამაშებისთვის.

● **რას ნიშნავს თქვენთვის გუნდი, ამხანაგები?**

— ორი სიტყვით ამის თქმა ძნელია. ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ კაცმა საკუთარ ოჯახზე ილაპარაკოს. ის მეგობრული ურთიერთგაგება, რომელიც გუნდშია დამყარებული, ხშირად გვშველის გაჭირვების ჟამს. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. ისიც ვიცით, როგორ დავეხმაროთ ერთიმეორეს. მახსოვს, როდესაც კიპროსში დიდი პრიზის ბედი წყდებოდა, დავით მანჯგალაძე აღელდა, ნერვები ვერ მოთოკა. თამაზ იმნაიშვილის ორიოდე სიტყვამ პირდაპირ მალამოსავით იმოქმედა მასზე და მთავარი ჯილდო ჩვენ გუნდს დარჩა, ასეთი მაგალითი ბევრია. ის, რომ შარშან ჩვენმა ბიჭებმა მრგვალ სტენდზე სროლაში საკავშირო თასიც მოიგეს და ჩემპიონატიც, რომ სხვა შეჯიბრებებშიც გაიმარჯვეს, გუნდის წევრების ძმურმა დამოკიდებულებამ და ერთსულოვნებამაც განაპირობა.

● **მწვრთნელებზე რას გვეტყვით?**

— მე მწვრთნელთა მუშაობას ორ ეტაპად დავყოფდი: ერთია სპორტსმენების მომზადება მაღალი შედეგებისათვის, მეორე — მისი ფსიქოლოგიური მომზადება შეჯიბრებისათვის. უდიდესი ტაქტი და ცოდნაა საჭირო, რომ მსროლელი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ისე მიიყვანო სტარტამდე, არც ზედმეტი დარიგებებით გადატვირთო და თან პასუხისმგებლობის გრძნობაც შეუნარჩუნო. ჩვენს მწვრთნელებს, ზურაბ მაჩხანელსა და ტარიელ ყლენტს, მკითხველის წინაშე ჩემი წარდგენა არ სჭირდებათ, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ მართლაც თავისი საქმის საუკეთესო, ზედმიწევნით მცოდნე სპეციალისტები არიან.

● **მალე პირველად გამოხვალთ მსოფლიო თასის გათამაშებაში. როგორ ხვდებით ამ დიდ შეჯიბრებებს?**

— ასეთ დროს, პირველ ყოვლისა, იმას გრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებაირგვლივ და შენს ცხოვრებაშიც...

● **ორიოდე სიტყვა თქვენს „არასპორტულ" ცხოვრებაზეც გვითხარით.**

— აპრილის ბოლოს 22 წელი შემისრულდა. ვსწავლობ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსზე. სიამოვნებით ვთამაშობ ფეხბურთს, მაგრამ ბავშვობიდანვე მიყვარდა სროლა და ბედნიერი ვარ, რომ სპორტის საყვარელ სახეობაში ვვარჯიშობ.

ესაუბრა გიორგი ჩოჩიშვილი.

# კიდევ ერთი ახალი შეჯიბრება

დასასრული



მოცდილება. ერთი სიტყვით, ეს ასპარეზობა იმათთვის ტარდება, ვინც სპორტში არ არის ჩაბმული. აქ მოყვარულები გამოვლენ მოედნებზე, სპორტსმენები ისედაც ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობენ.

● **ფეხბურთს, მართლაც, ყველა თამაშობს და არ არის გამორიცხული პრესტიჟულობისათვის გუნდში ყოფილი ან ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელების, სპორტსკოლების აღსაზრდელების ჩარიცხვა. რას იტყვით ასაკზე, გუნდის დაკომპლექტებაზე?**

—ასაკი განუსაზღვრელია. გუნდში შეიძლება შევიდეს ყველა, ვინც 1986-87 წლებში გამოდიოდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი, პირველი ან მეორე ლიგების შეჯიბრებებში, საქართველოს ჩემპიონატში, ახალგაზრდულ საკავშირო პირველობებში.

● **შეჯიბრება, ალბათ, ეტაპობრივად ჩატარდება...**

— დიახ, სულ ხუთი ეტაპია. I — მაისი-აგვისტო (შეჯიბრებები კოლექტივებში); II — სექტემბერ-ოქტომბერი (საქალაქო და რაიონული შეჯიბრებები); III — ოქტომბერი (ზონალური; თბილისში — საქალაქო შეჯიბრებები); IV — ნოემბერი (ერთმანეთს შეხვდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზონებში გამარჯვებული 5-5 გუნდი); აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე თბილისის ჩემპიონატში I და II ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ ფინალში იასპარეზებენ; V ეტაპი — დეკემბერი (ფინალური შეხვედრები).

● **ასეთ შეჯიბრებას დაფინანსება დასჭირდება. როგორ და ვინ აანაზღაურებს ხარჯებს?**

— ასპარეზობა ტარდება სახსრების კოოპერირებით. თანხებს ის ორგანიზაციები გაიღებენ, რომლებიც უკვე როგორც ორგანიზატორები მოვიხსენიეთ. ამავე ხარჯებით არის გათვალისწინებული პრიზების შეძენაც. მთავარი პრიზის გარდა დაწესებულია რამდენიმე ჯილდო საუკეთესო მოთამაშეების წასახალისებლად.

**შენიშვნა:** დებულების სრული ტექსტი გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" გამოაქვეყნა გუშინ, 12 მაისს და ქვეყნდება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ხვალინდელ ნომერში.

# მასობრიობის ნიშნით

## ქუთაისი

**ისე,** როგორც ყოველ უქმე დღეს, ქალაქში ამჯერადაც ბევრი საინტერესო სპორტული შეჯიბრება გაიმართა. ასპარეზობებში ყველა ხალისით მონაწილეობდა. არცაა გასაკვირი, სპორტული ზეიმი ხომ გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

შეჯიბრება დასრულდა მძლეოსნური ესტაფეტით — „ქუთაისის დიდი რკალი—87". სტარტზე გამოვიდნენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები, სტუდენტები, საშუალო სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები, საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები — სულ 42 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის 924 წარმომადგენელი. თითოეულ გუნდში 16 ვაჟი და 8 ქალი იყო. 22 ეტაპისგან შემდგარ 10 221-მეტრიან დისტანციაზე დამაჯერებელი შედეგით გაიმარჯვა სპორტკლუბ „თბომავალის" ნაკრებმა. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ მე-15 და მე-9 საშუალო სკოლების მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ გარბენს ხელმძღვანელობდა ღვაწლმოსილი მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სამამულო ომის ვეტერანი ედუარდ ალიშანოვი.

მასობრივი შეჯიბრებები მოეწყო ქუთაისის პედაგოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, მძლეოსნობის მანეჟში. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო საცხოვრებელ ადგილებში ჩატარებული შეჯიბრებები.

**თამაზ ხარაბაძე.**
**„ლელოს" საკ. კორ.**

## ჭიათურა

**ქალაქის** სპორტულ ბაზებზე გამართულ შეჯიბრებებში თითქმის ყველა ფიზკულტურულმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. საინტერესო ტურნირები ჩატარდა ფეხბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში. 9 მაისს დამთავრდა გენერალ ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოკრივეთა საკავშირო ტურნირი.

## ლანჩხუთი

**9 მაისს** საასპარეზოდ გამოვიდნენ ფეხბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, ლელობურთელები; სპორტული ზეიმი მოეწყო შუხუთში, ჩიბათში, ნიგვზიანში და რაიონის სხვა სოფლებში.

## მაიაკოვსკი

**სადღესასწაულო** ტურნირებში რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების 500-მდე წევრი მონაწილეობდა. სპორტის მოყვარულები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ამანათრბენში, ტურისტულ მრავალჭიდში, სპორტის სათამაშო სახეობებში.

## ყვარელი

**9 მაისს** რაიონულ ცენტრში მოეწყო მასობრივი კროსი, მძლეოსნურ ოთხჭიდში ყვარლის „დურუჯის" სტადიონზე მოსწავლეებმა იასპარეზეს. სოფლებში გავაზსა და მთისძირში გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით. საბუეში და ალმატში გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში.

10 მაისს გამართულ სამხედრო-სპორტულ თამაშში 14 სკოლის 144-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

## თელავი

**აქ** გამართულ მძლეოსნურ ესტაფეტებში მონაწილეობდნენ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის, პროფტექნიკური სასწავლებლის და სკოლების მოსწავლეები. ამ დღეს დამთავრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზაფხულო ჩემპიონატი ფეხბურთში. 1970-71 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ფინალში თელავის № 4 სკოლამ პენალტების სერიით დაამარცხა ნაფარეულის სკოლის გუნდი. 1972-73 წლიანებში ნაფარეულელმა მოსწავლეებმა სძლიეს ვარდისუბნელებს — 2:1. ტაიმებს შორის შესვენებებზე მოეწყო გარბენები სხვადასხვა დისტანციებზე.

## გურჯაანი

**9-10 მაისის** სპორტული ღონისძიებების პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. გარდა გურჯაანის ტრადიციული მძლეოსნური კროსისა, ქართული ჭიდაობის საღამოები გაიმართა სოფლებში კარდენახში, კოლაგში, ველისციხეში. ამავე სოფლებში ჩატარდა ფრენბურთელთა შეხვედრები. გურჯაანის საჭიდაო დარბაზში რაიონის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა პირველობაში გაიმარჯვა კაჭრეთის ნაკრებმა. კაჭრეთელებმა ფეხბურთშიც გამოიჩინეს თავი— „მცირე ოქროს თავთავის" პრიზის გათამაშების ფინალში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ჭანდრის გუნდი და საპატიო თასი დაისაკუთრეს.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

# ფინალი ათენში...

ჰოლანდიისა და გდრ-ის საკლუბო გუნდები ევროპის საფეხბურთო ტურნირების ფინალურ მატჩში პირველად ხვდებიან ერთმანეთს. ლაიფციგის „ლოკომოტივი" საერთოდ პირველად გავიდა ფინალში, ამსტერდამის „აიაქსი" კი დასკვნით შეხვედრაში მეხუთედ იასპარეზებს, ამ გუნდმა წინა წლებში ოთხჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასის ფინალში და საპატიო პრიზი ზედიზედ სამჯერ დაისაკუთრა.

ჰოლანდიელთა გზა თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩამდე ასეთი იყო: მათ დაამარცხეს თურქეთის „ბურსასპორი" (2:0, 5:0), საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი" (4:0, 1:1), შვეციის „მალმო" (3:1, 0:1) და ესპანეთის ქალაქ სარაგოსას „რეალი" (3:0, 3:2).

„აიაქსის" ოფიციალური მწვრთნელია ა. დე მოოსი, მაგრამ სინამდვილეში გუნდს განთქმული იოჰან კრუიფი ხელმძღვანელობს, კლუბის ტექნიკური დირექტორი. კრუიფმა ამ გუნდთან ერთად სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი და ახლა, 14 წლის შესვენების შემდეგ, „აიაქსი" თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა.

„აიაქსის" კარს იცავს ეროვნული ნაკრების წევრი სტენლი მენცო, დაცვაში გამოდიან გამოცდილი ფეხბურთელები, ეროვნული ნაკრების წევრები — პეტერ ბოვე, ფრანკ რაიკარდი, სონი ზილოი, დანი ბლინდი, რონალდ სპელბოსი.

ნახევარდაცვის წამყვანი ფიგურაა ალან მიურენი, მის გვერდით გამოდიან ჯონი ბოსმანი, იან ვოუტერსი და სხვები. შეტევის წამყვანი მოთამაშეა „ოქროს ბუცის" შარშანდელი მფლობელი მარკო ვან ბასტენი, მასთან ერთად გამოდიან ნაკრების წევრები ჯონი ვან სხიპი და ვიტშგე.

ლაიფციგის „ლოკომოტივმა" ფინალამდე საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჩამოიცილა: ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანი" (2:0, 1:1), ვენის „რაპიდი" (2:1, 1:1), შვეიცარიის „სიონი" (2:0, 0:0), ნახევარფინალში კი საფრანგეთის „ბორდოს" სძლია (1:0, 0:1, დამატებითი პენალტებით — 6:5).

„ლოკომოტივს" წვრთნის ჰანს ულრიჰ თომალე. ლაიფციგელთა უცვლელი მეკარეა რენე მიულერი. დაცვის ხაზი ძირითადად ნაკრების წევრებისგან შედგება — რონალდ კრეერი, უვე ციოცშე, გუნდის კაპიტანი ფრანკ ბაუმი, პერსპექტიული ფრანკ ედმონდი.

გუნდის ლიდერია ნახევარდაცვის ბურჯი მატიას ლიბერსი, მასთან ერთად ნახევარდაცვაში გამოდიან უვე ბრედო, მატიას ლინდნერი, ჰაიკო შოლცი და ვოლფგანგ ალტმანი, თავდასხმაში თამაშობენ ჰანს რიხტერი, ოლაფ მარშალი, დიტერ კიუნი, პეტერ შიონე, ჰანს-იურგენ ლაიცკე.

„აიაქსი" ამ მატჩში ფავორიტად ითვლება, მაგრამ, მაინც, ლაიფციგელთაგან სიურპრიზებია მოსალოდნელი.

**რევაზ შენგელია.**

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

## ჰოლანდია

„აიაქსი" სტუმრად დამარცხდა „უტრეხტთან" — 1:2. „ეინდჰოვენმა" სძლია „გრონინგენს" — 2:0 (ტორესენი და გულიტი).

სხვა შეხვედრები: „ვენლო" — „აზ-67" 2:2, „ფეიენოორდი" — „ფორტუნა" (სიტარდი) 1:1, „დენ ბოსხი" — „ვეენდამი" 1:3, „ზვოლე" — „გოუ ეჰედ იგლზი" 1:1, „ტვენტე" — „სპარტა" 3:2, „როდა" — „ექსელსიორი" 3:0, „ჰაარლემი" — „დენ ჰააგი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 30 | 83:16 | 51 |
| „აიაქსი" | 30 | 81:22 | 49 |

## იტალია

ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „ნაპოლი" „ფიორენტინას" შეხვდა. ანგარიში 29-ე წუთზე კარნევალემ გახსნა, მაგრამ სტუმრებმა მალე გაიტანეს საპასუხო გოლი — 1:1. „ინტერი" დამარცხდა ბერგამოში „ატალანტასთან" (0:1) და „ნაპოლიმ" პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

სხვა შეხვედრები: „ელასი" (ვერონა) — „იუვენტუსი" 1:1, „რომა" — „სამპდორია" 0:3, „ტორინო" — „უდინეზე" 3:1, „მილანი" — „კომო" 0:0, „ემპოლი" — „აველინო" 0:1, „ბრეშია" — „ასკოლი" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 29 | 40:20 | 41 |
| „ინტერი" | 29 | 32:17 | 37 |
| „იუვენტუსი" | 29 | 39:25 | 37 |

## ესპანეთი

კვირას მადრიდის „რეალმა" დაამარცხა სარაგოსის „რეალი" (2:1). მადრიდელთაგან ორივე გოლი პარდესამ გაიტანა. „ბარსელონამ" სძლია ხიხონის „სპორტინგს" 2:0 (რობერტო და არჩიბალდი), ხოლო „მალიორკამ" კი „ესპანიოლი" დაამარცხა — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრ.) | 38 | 61:30 | 57 |
| „ბარსელონა" | 38 | 54:22 | 55 |

## ინგლისი

ბოლო ტურში ჩემპიონმა—„ევერტონმა" გაიმარჯვა „ლუტონ თაუნთან" (3:1). ფრედ (3:3) ითამაშეს „ჩელსიმ" და „ლივერპულმა". სტუმართაგან ბურთები გაიტანეს მაკმანმა, ოლდრიჯმა და რაშმა, რომელმაც თავისი უკანასკნელი თამაში ჩაატარა „ლივერპულის" შემადგენლობაში.

სხვა შეხვედრები: „არსენალი" — „ნორიჩ სიტი" 1:2, „ჩარლტონ ათლეტიკი" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 2:1, „კოვენტრი სიტი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ასტონ ვილა" 3:1, „ნოტინგემ ფორესტი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 2:1, „ოქსფორდ იუნაიტედი" — „ლესტერ სიტი" 0:0, „შეფილდ უენსდეი" — „უიმბლდონი" 2:0, „უოტფორდი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 1:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „მანჩესტერ სიტი" 2:0.

ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ერთი შეხვედრა — „ევერტონსა" და „ტოტენჰემს" შორის, რომელიც ადგილების განაწილებაზე გავლენას ვეღარ მოახდენს. პირველი დივიზიონი დატოვეს „ლესტერ სიტიმ", „მანჩესტერ სიტიმ" და „ასტონ ვილამ". მათ შეცვლიან „დერბი ქაუნთი" და „პორტსმუთი" (შემდეგ სეზონში პირველ დივიზიონში 21 გუნდი იასპარეზებს). „ჩარლტონ ათლეტიკს", რომელმაც მე-19 ადგილი დაიკავა, გადასასვლელი მატჩების ჩატარება მოუწევს მეორე დივიზიონში 3-5 ადგილებზე გასულ გუნდებთან: „ოულდემ ათლეტიკთან", „ლიდს იუნაიტედთან" და „იფსვიჩ თაუნთან".

| | | | |
|---|---|---|---|
| „ევერტონი" | 41 | 75:31 | 83 |
| „ლივერპული" | 42 | 72:42 | 71 |

## გფრ

28-ე ტურის შედეგები: „ბაიერნი" (მიუნხენი) — „ბლაუ ვაისი" 2:0, „ჰამბურგი"-„შალკე-04" 4:0, „კაიზერსლაუტერნი" — „შტუტგარტი" 3:0, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „ბაიერი" (იურდინგენი) 2:0, „კიოლნი" — „ფორტუნა" (დიუსელდორფი) 1:0, „ნიურნბერგი" — „ბორუსია" (დორტმუნდი) 1:2, „ვერდერი" (ბრემენი) — „ჰომბურგი" 6:0, „ბოხუმი" — „ვალდჰოფი" 6:1, „აინტრახტი" (ფრანკფურტი) — „ბაიერი" (ლევერკუზენი) 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 27 | 54:45 | 42 |
| „ჰამბურგი" | 28 | 52:27 | 39 |

## საფრანგეთი

მარსელის „ოლიმპიკისა" და „ნანსის" შეხვედრაში მასპინძლებს გამარჯვება დომერგის მიერ გატანილმა გოლმა მოუტანა (3:2). „ბორდომ" სტუმრად დაამარცხა „ლავალი" — 2:1.

სხვა შეხვედრები: „სენტ ეტიენი" — „ნიცა" 1:0, „ბრესტი" — „ნანტი" 2:1, „ოსერი" — „რენი" 1:0, „ლანი" — „სოშო" 0:0, „მონაკო"—„ლე ავრი" 2:1, „ტულუზა" — „პარი სენ ჟერმენი" 1:1, „რასინგი" (პარიზი) — „ლილი" 1:0, „მეცი" — „ტულონი" 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" | 34 | 50:24 | 49 |
| „ბორდო" | 34 | 52:24 | 48 |

## პორტუგალია

მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა თასის ნახევარფინალური შეხვედრა „პორტუსა" და „სპორტინგს" შორის. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებითი ტაიმის 27-ე წუთზე სტუმრებმა შეძლეს გადამწყვეტი გოლის გატანა — 1:0 „სპორტინგის" სასარგებლოდ. „ბენფიკამ" ადვილად დაამარცხა „პორტიმონენსე" — 4:0. ფინალში, 7 ივნისს ერთმანეთს ლისაბონის გუნდები „ბენფიკა" და „სპორტინგი" შეხვდებიან.

## ბელგია

31-ე ტურის შედეგები: „მეხელენი" — „სერანჟი" 2:1, „სერკლ ბრიუგე" — „ანდერლეხტი" 2:2, „ლოკერენი" — „მოლენბეკი" 1:2, „რასინგ იეტი" — „კორტრიიკი" 3:0, „ანტვერპენი" — „გენტი" 0:1, „ლიეჟი" — „ბევერენი" 2:1, „სტანდარდი" — „ბრიუგე" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 31 | 75:25 | 51 |
| „მეხელენი" | 31 | 59:12 | 51 |

# მკაცრი განაჩენი ხულიგნებს

**ლონდონი.** ბრიტანეთის სასამართლომ 10-10 წლის პატიმრობა მიუსაჯა ამ ქვეყნის „ფეხბურთის ხულიგანთა" ბანდის ორ მეთაურს. მათ ბრალად ედებათ ლონდონის კლუბ „ჩელსის" მატჩის დროს დიდი უწესრიგობის ორგანიზაცია. გასულ კვირას „ჩელსელი თავებზე მონადირენის" ბანდის სხვა სამ წევრს 7,6 და 5 წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

ბრიტანეთის პოლიციამ ხულიგნების დაპატიმრება შეძლო დიდი მასშტაბის ოპერაციის შედეგად. ბანდაში შეაგზავნეს პოლიციის რამდენიმე აგენტი, მათ დაადგინეს, რომ ეს „გულშემატკივრები" მარტო ფეხბურთის ფანატიკოსები კი არა, არამედ არმიული წესით შექმნილი შეიარაღებული იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რომლის არსენალში აღმოაჩინეს ათასგვარი იარაღი. საგანგებოდ შექმნილმა შტაბმა შეისწავლა ბანდის წევრთა მოძრაობის მარშრუტები ფეხბურთის მატჩების ადგილებისკენ, უწესრიგობის ჩადენის ორგანიზაციის ტაქტიკა, პოლიციასთან მოსალოდნელი შეტაკებისას უკან დასახევი გზები და თავშესაფარი.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ „ჩელსელ თავებზე მონადირეთა" მეთაურები ნერგავდნენ უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებს იმ იდეათა სულისკვეთებით, რომლებსაც ქადაგებენ ნეოფაშისტური „ეროვნული ფრონტი" და ოლსტერის პროტესტანტი ულტრები. ამ ბანდიტების ანგარიშზეა ასობით დასახიჩრებული და მოკლული ფეხბურთის მოყვარული. როგორც ცნობილი გახდა, სწორედ ისინი მონაწილეობდნენ იმ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც პროვოკაციულად მოაწყვეს ბრიტანელმა ფანატიკოსებმა 1985 წლის მაისში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დღეს ინგლისის „ლივერპულსა" და იტალიის „იუვენტუსს" შორის. მაშინ ბელგიაში ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონის ტრიბუნებზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად 39 კაცი დაიღუპა, ასობით კი დასახიჩრდა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06916